ПОТИ. Николаю Николадзе


# იმერეთი

№ 13

ხუთშაბათი 22 იანვარი 1915 წ.

წელიწადი მეოთხე.

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია გაზ. „იმერეთი“

ფასი: წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარ წლით 7 მან., თვიურათ 6 აბაზი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ ნაშუადღევს 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.


6 იანვრიდან გამოდის ყოველდღიური

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „იმერეთი“.

გაზეთი გამოდის ყოველდღე გარდა კვირა-უქმეების შემდეგი დღეებისა.

**გაზეთი ღირს:**

1 წლ.—7 მ. 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მ. 10 შ., 1 თვით—4 აბ. საზღვარგარეთ—ორჯერ მეტი. ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება: გამოწერის დროს 3 მ. 1 აპრილს 2 მ. და 1 ივნისს 2 მ.

**მისამართი:** ქუთაისი, თფილისის ქუჩა, სახლი ზ. ი. გოკიელისა.

**ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:** Кутаисъ, Редакція „ИМЕРЕТИ“.

რედაქციის კანტორაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება დილის 10—2 საათ., საღამოს 6—8 საათამდი.

რედაქცია სთხოვს კორესპონდენციების ავტორებს სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე გარკვევით. წვრილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. მისამართი: Кутаисъ, ред. „Имерети“ почт. ящ. № 39.

---

ნიკოლოზ პეტრეს ძე ჯაიანი ოჯახობით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ორმოცის წირვა და პანაშვიდი აწ გარდაცვალებულის

**ივანე პეტრეს ძის ჯაიანის**

სულის მოსახსენებლათ დანიშნულია ქ. ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში ამა იანვრის, 24 რიცხვს, დღით შაბათს, თერთმეტ საათზე.

2—1—15

---

ს. ს. **ი. გოკიელის** ძ-ბის ქუთაისში

ერთადერთი წარმომადგენელი მთელი ამიერკავკასიის ცნობილი

## აბრეშუმის ძაფის თესლის ხ. ხრისტოდულიდის

ამით აცნობებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ

**ახლო მომავალში დაიწყება დაკვეთა ზემოაღნიშნულ ფირმის აბრეშუმის თესლზე.**

ფასი და პირობები ცალკე გამოცხადებული იქნება. თ.

---

## ქალთა ოთხკლასიანი პროგიმნაზია მ. ზ. კვინიხიძის.

## უფლებებით.

თფილისის ქუჩ. და ობორინის შესახვევში კუთხე. მოწაფეების მიღება დაიწყო 12 იანვრიდან. სწავლის ფასი უფლების გამო არ მომატებია. თავისუფალი ადგილი ყველა კლასშია. სასწავლებელს აქვს საანბანო განყოფილებაც, რომელშიც მიიღებიან მოუმზადებელი ბავშები. თ. 7.

---

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია

## კ. ი. ოცხელისა და ამხ. ქუთაისში

ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.

**კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში** მოიპოვება ყოველგვარი **სახელმძღვანელო** და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე **კალენდრები 1915 წლის:** ჯიბის, კედლის, იურიდიული, საექიმო და სხვა. ატლასები, თვალსაჩინო სურათები. გეოგრაფიული ქარტები, მათ შორის. **ომის ქარტები** დაწყებული 6 მანეთიდან ვიდრე 3 შაურამდი.

გვერდით გამართულია **ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა**, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო და საკანცელარიო ნივთები.

კატალოგები უფასოთ. თ.

---

## ვიქტორ ქავთარაძის წარმოდგენა

შაბათს, 24 იანვარს, ქალაქის თეატრში ვლად. ალექსი მესხიშვილის მონაწილეობით, ქართ. დრამატ. დასის მიერ წარმოდგენილ იქნება ცნობილი პიესა

## ავათმყოფი ხალხი

დრ. 2 მოქ. თარგ. მაჭავარიანისა.

**რობერტის როლს შეასრულებს ვლ. ალექ. მესხიშვილი**

## ყობოს ოინები

ერთ მოქმედებ. ვოდევილი ყობოს როლს შეასრულებს ნემო.

## დედის ერთა

მხიარული ვოდევილი 1 მოქმ. ვალ. გუნიასი.

იოთამის როლს შეასრულებს ვალ შალიკაშვილი.

**ადგილების ფასები ჩვეულებრივია.** **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

გამგე ვიკ. ქავთარაძე. რეჟისორი ვლ. ალექსი მესხიშვილი.

---

## ქუთაისი.

თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიამ

**დაბეჭდა და გამოსცა გასაყიდათ**

## საქართველოს ისტორია,

მოკლე სისტემატიური კურსი მოზრდილთათვის. უუძველესი და ძველი ისტორია საისტორიო ქარტით. [illegible] ს. რ. გორგაძის მიერ. ფასი ყდით 35 კაპ. საწყობი იმყოფება ქუთაისში—გამომცემელთან, თფილისში ქ. შ. წ. კითხ. გამ. საზოგად. მაღაზიაში. თ.

---

## ამერიკული მწარე ვაზი (rupestris),

მშრალ მიწაზე გაზდილი, იყიდება ზომიერ ფასად, იკითხეთ კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში ქუთაისში. თ.

---

თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიამ

**მიიღო გასაყიდლად**

## პროფ. ივ. ჯავახიშვილის

„ქართველ ერის ისტორია“

წიგნი პირველი და მეორე. ორივეს ფასი 3 მან.

3—2

---

## გამოვიდა და იყიდება

**ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიებში**

## თხზულებანი

## ჯაჯუ ჯორჯიკიასი.

**ფასი 60 კაპ.** წ.

---

## კალიგრაფიის (ლამაზი და ჩქარი წერის) კურსები.

**(ნებადართულია მთავრობისაგან)**

**ვუსწორებ** წერისხელს და აგრეთვე ვასწავლი პირისპირ და დაუსწრებლათაც: კალიგრაფიას, ჩქარ წერას, ვინიეტებით წერას რონდშრიფტს, გოტიურ-წერას და შტაილშრიფტს ლამაზ მხატრობიანს; აგრეთვე ვამზადებ კალიგრაფიის მასწავლებლობისათვის.—სამსახურში შესასვლელათ ვასწავლი საკანტორო კომერციულ ჩქარ-წერას და ყოველგვარს აუცილებელ ნიმუშს, წესრიგსა დ შრიფტს.—სულ უსწავლელს 15 გაკვეთ. ვასწავლი ლამაზ წერას და ნაწერების წაკითხვას; აგრეთვე ვკისრულობ

**ადრესების, დიპლომების და ხელმწიფის**

თუ საზოგადოთ უმაღლეს პირთა სახელზე თხოვნების წერას.—კალიგრაფიის კურსებზე შემოსვლა ორივე სქესის ყოველი ასაკის პირებს შეუძლიათ, 8 წლიდან დაწყებული ვიდრე ღრმა სიბერემდი. საღამოის კურსები 4 საათ. 9-მდი.

კალიგრაფიის მასწავლებელი **ივ. მიხ. ცინცაძე.** კაზაკოვის ქუჩა., სახლი 13.

თ.

---

## კბილის ექიმები.

**მენაღარიშვილი და ტრუფანოვა**

დროებით

ბათუმიდან გადმოვიდნენ

**ქ. ქუთაისში.**

თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6.

არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა დ ღრძილებისას.

აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამოდენიმე სეანსზე ახალი საშვალებით.

---

## სამკურნალო

**კაბინეტი ელექტრონისა და სინათლის**

**ექიმის გაბრიელ იოსების ძის გოკიელის** შინაგანი ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფის მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6 8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი. (თ).

---

**ექიმი ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე დილით 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში.

---

# ომი.

პეტროგრ. ტ. ა. სააგენტ.

## რუსეთ-გერმანიის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 19 იანვარი. ქალ. სურპესთან გერმანელებზე თავდასხმის დროს ყაზახებმა ტყვეთ წამოიყვანეს ოთხი აფიცერი და 350 ჯარისკაცი ამას გარდა, ამოჟლიტეს კირასირის მეშვიდე პოლკის მთელი ესკადრონი. ვისლის მარჯვენა ნაპირზე, ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა გერმანელები დიდათ დააზარალა და ქალ. ლიპნოსკენ უკუაგდეს. ლიპნო დორბეინის გზაზე, გერმანელები, იძულებული ვყავით უკან დაეხიათ. ამ რაიონში მათ დიდი ზარალი ნახეს, ტყვეების გადმოცემით, როდესაც გერმანელებმა უკან დაიხიეს, თან 60 მეტი დაჭრილი წაიყვანესო. გერმანელები შეეცადნენ ჰაერში მფრინავი ბურთებით, ჩვენი ბანაკების დათვალიერებას, მაგრამ ჩვენი არტილერიის წყალობით ყველა ბურთი ძირსვარდებოდა.

— 11—17 იანვრამდი, გერმანელებს ერთნახევარ ვერსის სიგრძე ასპარეზი, 60 ათას მოკლულ ჯარის-კაცათ დაუჯდათ. კარპატებში ჩვენი ჯარი წინ მიიწევს და ატყვევებს ავსტრიელებს. სულ პატარა ასპარეზზე, ნიჟნია პოლიანაში, 12 იანვრიდან—16-მდი ტყვეთ წამოვიყვანეთ 78 აფიცერი და 4065 ავსტრიელი ჯარისკაცი. ხელთ ვიგდეთ 4 ზარბაზანი და 10 ტყვიისმტყორცნელი. ამ ტყვეთა რიცხვში ბევრი გერმანელი ჯარისკაციც ურევია.

### დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი.** 19 იანვარს ღამემ წყნარათ ჩაიარა. დილით მტერმა მოიტანა სასტიკი იერიში ჩვენს თხრილებზე, მაგრამ ჩვენ მტერი უკუვაგდეთ. მტერმა ბრძოლის ველზე მრავალი მოკლული და დაჭრილი დასტოვა. ალზვრის ჩრდილოეთით, გერმანელების ქვეითა ჯარი სცდილობდა დასცემოდა ჩვენს თხრილებს, მაგრამ იძულებული იყო გადაეყარა ასაფეთქებელი ყუმბარები და გაქცეულიყო. არგონის სიმაღლეზე ბრძოლა გრძელდება. გრირის ტყეში, ბოგატელთან გერმანელების იერიში მოგერიებულ იქნა. ჩვენი ერთი

თხრილთაგანი, რომელიც გერმანელებმა ააფეთქეს ორი ყუმბარით, ჩვენ გავსწმინდეთ. დანარჩენ ფრონტებზე ცვლილება არ მომხდარა.

ჰავასის სააგენტო იტყობინება, რომ 18 იანვარს, როგორც წინა დღეს, იპრის რაიონში დიდი საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა. გერმანელებს უნდოდათ ჩვენს თხრილებს დასცემოდენ, მაგრამ ჩვენი ზარბაზნების ცეცხლით საჩქაროთ მოგერებულ იქნენ. მდ. ენთან და უზასთან ჩვენ დავანგრიეთ მტრის რამდენიმე თხრილი და ჩავაჩუმეთ მათი ბატარეია. არგონში გერმანელებმა უკანასკნელ ბრძოლის დროს დიდი ზარალი ნახეს. დანარჩენ ფრონტებზე საყურადღებო არა მომხდარა.

### კავკასიის ასპარეზი.

კავკასიის ფრონტზე ამ დღეებში შესანიშნავი ცვლილება არ მომხდარა.

### ინგლის ოსმალეთის ასპარეზი.

**ქაირო.** ოფიციალური ცნობებიდან ჩანს, რომ ოსმალეთის ჯარში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. გერმანელებისაგან ცუდათ მოპყრობის გამო ოსმალელი ჯარისკაცები ხშირათ გადადიან ინგლისის ჯარში. ეგვიპტეს მთავრობის განკარგულებით დაიკეტა ნაციონალისტების კლუბი. წაიღეს კლუბის საბუთიანი ქაღალდები.

## სხვა და სხვა ამბები.

**პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან.**

**პარიზი.** 20 იანვ საღ. სამისტ. ოფიციალური მოხსენებით 19 იანვარს, დილის 5 ს., გავრიდან 15 მილ. სიშორეზე, გერმანელების წყალქვეშა ნავმა ესროლა ყუმბარა ინგლისის საგოსპიტლო გემს „ასტარიუსს“, მაგრამ, საბედნიეროდ, ყუმბარა გემს ასცდა. ამნაირათ გერმანიამ კიდევ ერთხელ დაარღვია ჰააგის კონფერენციის დადგენილება.

**პარიზი.** გაზეთები მოწინავე წერილებში აღნიშნავენ იმ დიდ მნიშვნელობას, რომელიც აქვს დღეს მინისტრების კონფერენციას პარიზში, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ, სხვათა შორის, ბარკი და ლლოიდ ჯორჯი.

საადმირალოს პირველმა ლორდმა ჩერჩილმა, ერთ წარმომადგენელთან საუბრის დროს, აღნიშნა ინგლისის ფლოტის როლი ამ ომში და, სხვათა შორის, სთქვა: რუსეთმა და საფრანგეთმა კიდეც რომ შეკრან სეპარატული ზავი, რაც, რასაკვირველია, ყოვლად შეუძლებელია, ინგლისი მაინც მარტო განაგრძობს ომს გერმანიასთანო.

**კოპენჰაგენი** სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ ვილჰელმი მიემგზავრება ვილგელმსგაფენის დასათვალიერებლათო.

**ორენბურგი.** ორენბურგის საგუბერნიო ერობამ, გადასდვა 10 ათასი მანეთი ორენბურგში სამასწავლებლო ინსტიტუტის გასახსნელათ. ამასთანავე შუამდგომლობა აღძრა გაიყვანოს რკინის გზა ორენბურგიდან ტროიცკამდი და ეთხოვოს მთავრობას, რათა ინოროდცების შკოლები საერობო განკარგულებაში გადავიდენ.

### რუსეთის წყალქვეშა ნავების მოქმედება ბალტიის ზღვაზე.

**პეტროგრადი.** სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ ჩვენი წყალქვეშა ნავების მოქმედებით ბალტიის ზღვაში ძლიერ შევიწროებულია მტრის გემების ამ ზღვაში თავისუფალი მიმოსვლათ. ახლახან დაბრუნებულ მორიგ წყალქვეშა ნავების ხელმძღვანელთა გადმოცემით, მათი მოქმედება შემდეგ ნაირათ სწარმოებდა: წყალქვეშა ნავებმა იერიში მიიტანეს, მემელის რაიონში, სადარაჯო გემზე, ფინლანდიის ნავთადგურის სიღრმეში მტრის ერთ ნაღმოსანზე და არკონის რაიონში კრეისერ „გლეზერზე“, მაგრამ მტერი, მისდა საბედნიეროთ, ყოველთვის განსაცდელს თავიდან იშორებდა როგორც ეტყობოდა, ჩვენი წყალქვეშა ნავების მოქმედება ძლიერ ავიწროებდა მტრის სამხედრო გემების გამოსვლას, რადგან ამ ბოლო დროს ჩვენი ნავები მათ გემებს არსად შეხვდრიან. ჩვენმა ერთმა წყალქვეშა ნავმა მტრის, „კაზელის“ ტიპის კრეისერზე იერიში მიიტანა და ძლიერაც დააზიანა. მეორე ნავმა მტრის ერთი ნაღმოსანი ისანის ქიმის ახლოს დაღუპა.

**სოლუნი.** იმ შემთხვევაში თუ ჯარების მობილიზაცია მოხდა, მთავრობის განკარგულებით, 2500 სათადარიგო აფიცერი უნდა გამოცხადდეს თავ თავის ნაწილებში სამი დღის განმავლობაში. ბულგარეთის მთავრობამ ნება დართო გაიტანონ 7,500 ფუთი ხორბალი ბულგარეთის ზაგრაფის მონასტრის საჭიროებისათვის ათონში.

საბერძნეთმა, ომის მოლოდინში, შეუკვეთა ამერიკას 15 მილიონ. მანეთის ხორბალი.

პოლიტიკურ წრეებში ლაპარაკია, რომ, თუ ავსტრია სერბიას დაეცემა, საბერძნეთი სერბიას იმით დაუჭერს მხარს, რომ ინგლისსა და საფრანგეთს ნებას მისცემს სოლუნში დესანტი გადმოსხასო.

**გავრი.** ბელგიის მთავარ ბინაზე მივიდა თ. კუდაშევი თ. იუსუპოვის მეფესთან წარსადგენათ. თ. იუსუპოვმა უნდა გადასცეს მეფეს რუსეთის ორდენები ბელგიის ჯარისთვის და აგრეთვე გიორგის ხარისხის მედალი, რომელიც ხელმწიფე იმპერატორმა უბოძა ბელგიის დედოფალს, რომელმაც ომის დროს, როგორც მოწყალების დები ენერგიული და თავდადებული მოქმედება გამოიჩინა.

ბელგიის მეფემ თ. იუსუპოვს და გრ. გოლენიშჩევ კუტუზოვს სხვა და სხვა ორდენი უბოძა.

**მინსკი.** ექვსი თვის განმავლობაში მინსკზე გაატარეს დაუჭრელი ტყვე ავსტრიელი აფიცრები, 1876 კაცი და 100,775 ჯარის კაცი. დაჭრილი და ავათმყოფი —155 კაცი და 6517 ჯარის კაცი.

**პეტროგრადი.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საჩქაროთ მოსთხოვა ყველა გუბერნატორს ცნობები იმის შესახებ, თუ სად რამდენი კრედიტი არის საჭირო, რომ დახმარება მიეცეს ჯარის კაცთა ოჯახებსო.

**პეტროგრადი.** გამოქვეყნდა უმაღლესი ბრძანება, ყაგიზმანის ოლქში მიწის შემოფარგვლის შესახებ, რათა გაყვანილ იქნას რკინისგზა სარაკამიშსა და ყარაუგანს შუა.

პეტროგრადის სამოსამართლო პალატაში გაირჩა ბურცევის საქმე, ბურცევს ბრალს სდებდენ პარიზის გაზეთში მთავრობის სხვადასხვა საწინააღმდეგო წერილის მოთავსებაში. პალატამ ყველა ღირსების ჩამორთმევით სამუდამო გადასახლება მიუსაჯა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

ოფიცოზურ წრეებში ირწმუნებიან, რომ თ. ტრუბეცკოი და პ. ლ. ბარკი ყოველ ღონის ძიებას ხმარობენ, ბულგარეთისთვის სერბიას დაათმობინონ რამე.

სამაგიეროთ ბულგარეთის მთავრობა დღევანდელ დღეს სერბიასთან ყოველგვარ შერიგებას შეუძლებლათ სთვლის.

——

როგორც ბულგარეთისა, ისე კიდევ რუმინიის მხრივ, ყველა ზომა მიღებული, რომ შეთანხმებას მიაღწიონ. ამისათვის რუმინიისა და ბულგარეთის მეფეების ერთმანეთის ნახვაა განზრახული. იტალიას სურს იტალიისა, რუმინიისა და ბულგარეთის შორის კავშირი მოაწყოს.

——

გერმანიის გაზეთ „ვიენერ ალგემაინე ცეიტუნგში“ მოთავსებულია წერილი, ვითომც რუსეთს თათფირი ჰქონდეს ავსტრიასთან სეპარატულ ზავის ჩამოგდების შესახებ: ამასთან ვითომც რუსეთს განზრახვა ჰქონდეს აღმოსავლეთ პრუსია ავსტრიას დაუთმოს და სერბია ჰაბსბურგის მონარქიას შეუერთოს.

„პეტროგრადის დეპეშათა სააგენტო“ ამ წერილს მარტოოდენ ცილის წამებასა და პორიკანობაზე აშენებულათ სთვლის.

### ოგანიერის მოგზაურობა ინგლისში.

— რეიტერის სააგენტომ ცნობა მიიღო საფრანგეთის საზღვაო მინისტრ ოგანიერის ლონდონიდან საფრანგეთში ჩამოსვლის შესახებ.

იგივე სააგენტოს მინდობილი აქვს განაცხადოს შემდეგი:

მინისტრი ოგანიერი ჩავიდა ლონდონს სამშაბათ საღამოს. ის მეფემ მიიღო თავის სასახლეში იმ დღესვე. ოგანიერი ეწვია შემდეგ საადმირალოს პირველ ლორდს და კარგა ხანს ესაუბრა. საუბრიდან ვს დასკვნა შეგვიძლია გამოვიყვანოთ, რომ ორივე სახელმწიფოს მოქმედება ზღვაზე მტრის წინააღმდეგ მჭიდროთ არის შეთანხმებული. შემდეგ მან ინახულა ედუარდ გრეი, ასკვიტი, კიტჩენერი, კორსია და ბალფური.

### რუმინია.

საჩქაროთ დაინიშნა მინისტრთა სხდომა. სხდომის საგანი იყო დღევანდელი მდგომარეობის განხილვა და იმ კანონების შემუშავება, რომელიც უნდა იქნას წარდგენილი პარლამენტში დასამტკიცებლათ.

——

რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ ყველა საბუთი, რომელიც რუმინიის ხუთ მილიონ გირვანქა სტერლინგის სესხს ეკუთნის, ხელ მოწერილია ეს თანხა უნდა გადავიდეს ინგლისიდან რუმინიის ბანკში სესხის სახით და გასატუმრების პირობა რუმინიის ხაზინამ უნდა დაამტკიცოსო.

——

კალაფატში რუმინიელებმა დაატყვევეს ავსტრიელი აფიცერი, რომელსაც მიჰყვებოდა ავსტრიის საზღვაო აგენტი.

მათ აღმოაჩნდათ ორი ყუთი ყუმბარებით და ასაფეთქებელი მასალით.

——

პარიზში მიღებულია ცნობები იმ საშინელ უწესრიგობის შესახებ, რომელსაც ქონდა ადგილი ავსტრიის სხვადასხვა ქალაქებში სათადარიგო ჯარისკაცების გაწვევის გამო.

იტყობინებიან—მოძრაობას თავში სამ ღვდელოება უდგას. ეკლესიაში ხალხს არიგებენ, რომ ომში გასვლაზე უარი სთქვან. ხალხი შფოთავს და ყვირის „ძირს, ძირს გერმანელები! ძირს ომი! რამდენიმე დაბაში მეამბოხეებსა და და ჟანდარმებს შორის შეტაკება მოხდა,

ლიუბლიანში ხალხმა დაწვა ადგილობრივ პოლიციის უფროსის ბინა. ავეჯეულობას ამტვრევდენ და სხვადასხვა ნივთებს კი ფანჯრიდან ისროდენ.

ზაგრებში აღელვებული ხალხი რამდენიმე სტუდენტის მეთაურობით გლეჯდენ მობილიზაციის შესახებ გამოკრულ განცხადებებს.

სერიოზული აჯანყება მოხდა აგრეთვე კარლსბადსა და მ[illegible] ქალაქ ს[illegible]მაში, ფიუმეს ახლოს მეამბოხეებმა იარაღის საწყობი გაძარცვეს.

აუარებელი ბრბო, გაემართა სპინიდან ტრიესტში იქაურ მანიფესტანტებთან შესაერთებლათ. აქაც ისეთივე ამბები ხდება. არიან ბევრი დახოცილები.

ტრანსილვანიაშიც დაიწყო მოძრაობა. აქ გუბერნატორი ემუქრება ყველა მეამბოხეს დახვრეტით, თუ ისინი თავისას არ დაიშლიან.

### ოსმალეთში.

სტამბოლიდან იუწყებიან, რომ ახალგაზდა ოსმალთა პარტიაში განხეთქილება მოხდა რუსეთის გამარჯვების შემდეგ. „ერთობა და პროგრესის“ კომიტეტს ჩამოცილდა თალაათ-ბეის პარტია, რომელიც რუსეთთან ომის და ენვერფაშისაგან გერმანიის მხრის დაჭერის წინააღმდეგი იყო, გამოყოფილმა პარტიამ დაარსა საკუთარი ორგანიზაცია „მიუდეფა მილეტა“-ს სახელით, რაიცა ნიშნავს „სახალხო თავდაცვას“.

## გერმანიის განზრახვანი.

ნეიტრალურ სახელმწიფოს ნდობით აღჭურვილი წარმომადგენელი, რომელიც ამ დღეებში პეტროგრადს მოვიდა, ბერლინში რამდენიმე თვე ყოფილა, სადაც გერმანიის მთავრობის წარმომადგენლებთან ხანგრძლივი საუბრები ჰქონია და გამოურკვევია გერმანელების მოქმედების გეგმა, შემუშავებული მათ მიერ მიმდინარე ომის ხუთი თვის განმავლობაში.

დიპლომატი გვატყობინებს შემდეგს: დამარცხების მოლოდინში, გერმანიის მთავრობა ყოველ ღონისძიებას ხმარობს შესაფერ დროისთვის, როცა ზავზე ჩამოვარდება ლაპარაკი, მაგარ ნიადაგზე დადგეს, რომ კომპენსაციაზეც უფლება ჰქონდეს და ტერიტორიალური დათმობაც არ მოუხდესო. საკვირველი ის არის რომ ავსტრიაზე ჰქანბაც არ იმის, თითქოს იგი არც კი არსებობდეს. გერმანიის პოლიტიკის მესვეურნი ასე გამოსთქვამენ:

— გერმანია ხედავს რა ავსტრიის უძლურებას—დაიცვას საკუთარი მიწა-წყალი, თავის ჯარს გზავნის ავსტრიის მიწა-წყლის დასაცავათ იმ იმედით, რომ მასზე თავისი მფლობელობა დაამყაროს.

გერმანიის დიპლომატია ორ აზროვანი არ არის,—ვინცობაა გერმანია დამარცხდა იგი ამ დამარცხებას აღმოსავლეთში ავსტრიისა და ოსმალეთის მიწა-წყლით გაუწევს ანგარიშს და დასავლეთში კი—ბელგიისა.

## ქართული მწერლობიდან.

### მოკლე სიტყვა დიდ საქმეებზე.

იხ. „იმერეთი“ № 9.

ვახტანგ მეფის ამალაში მოსკოვში იმყოფებოდნენ იმისთანა ქართველი მწერლები, როგორიც იყვნენ, მაგალითად, მამუკა ბარათაშვილი, ომან მდივანიშვილი, დავით გურამიშვილი, ბაქარ-მეფე, უფროსი შვილი ვახტანგისა, ვახუშტი ბატონიშვილი.

იმ დროინდელ რუსეთის მწერლობას არ ჰყავს არა თუ ამათი ტოლი მწერლები, ნიჭითა, ცოდნით და შემოქმედებით, არამედ ამათი მომსგავსოც კი.

ომან (ონან) მდივანის საუცხოვო ლექსად გადაქმნილი „ბარამიანი“ დღესაც სიამოვნებით იკითხება; მამუკას ლექსები და განსაკუთრებით მისი „ჭაშნიკი ლექსთა“ წარმოგვიდგენს პირველს შემუშავებულს სიტყვიერების თეორიას, რომლის ნასახიც არ ჰქონია იმ დროინდელ რუსეთის მწერლობას მართალია, ლომონოსოვმა და ტრედიაკოვსკიმ ცოტა გვიან დასწერეს ამის მომსგავსო თეორიები 1760 წლის ახლო დროებაში, მაგრამ შედარებაც არ შეიძლება იმათის შრომისა მამუკას თეორიასთან, რომელიც დაიწერა 1730 წელზე ადრე.

რაც შეეხება დავით გურამიშვილს, ეს ხომ უკვდავი მწერალია, მისი წიგნი დღესაც „ხელიხელ საგოგმანი ქმნილებაა“ და ყოველ განათლებულ ქართველის მაგიდას უნდა ამშვენებდეს. ამისი ლექსთა წყობა, მაჯამებით დამშვენებულ რითმების თამაშობა სმენას გიტკბობს; პოეტმა უღრეს მწვერვალამდის ასწია ქართულ ლექსის გაკეთილხმოვანება და მუსიკობა. ამის ქმნილებას, რომ შევუდაროთ თუნდა საუკეთესო რუსის პოეტი ლომონოსოვი თავისის ლექსებით, ეს უკანასკნელი საწყალ მგოსნად დაგვესახება, ცუდ-მტკივნეული ბავშვად. სამწუხაროდ ჯერაც ვერ შეგვისწავლია გურამიშვილის ნაწარმოებში გატარებული საინტერესო თეორია პოეზიისა და ეს ბევრს მკითხველს უშლის შესაბამად გაიგოს ეს ორიგინალური ქმნილება და განსაკუთრებით პოემა „ქაცვია მწყემსი“ (სიმბოლური).

მეფის ვახტანგისვე ამალაში ერია ჩვენს მწერლობაში ჯერ თითქმის უცნობი ფავლენიშვილი, რომელმაც დაგვიტოვა მეტად ძვირფასი ისტორიული პოემა; ამ პოემაში ლექსებით მოთხრობილია დაწვრილებითი ამბები ვახტანგ VI-ის გადასვლისა რუსეთში. თუმცა ენის ბრწყინვალებით ეს პოემა ბევრად ჩამოუვარდება გურამიშვილისას, მაგრამ იმ დროინდელ რუსეთის მგოსნების ნაწერებთან ისე მაღლა დგას, როგორც ცა დედამიწიდან.

ვახტანგის ამალაშივე იყო ბაქარ-მეფე, რომლის ლექსებს და პოემას თითქმის ვერ იცნობს ჩვენი მეცნიერული მწერლობა.

ბაქარისთან მოსახსენებელია მისი ამალა პაატა აბაშიძეც (შორაპნელი), რომლის შნოიან ლექსებიდან ჯერ კიდევ ცოტა-ღა მოსულა ჩვენს დრომდი, მაგრამ ვს ცოტაც აზრიანებია, ადვილგასაგები, ხშირად მაჯამებიანი, სათნო აზრებით გაქლენთილები, რომლის მსგავსს ვერ იპოვით იმ დროინდელ რუსის მწერლობაში და ყოველ შემთხვევაში ამათ არ ჩამოუვარდება.

რაც შეეხება ბატონიშვილს ვახუშტ-ს, რომელმაც რუსეთში გაატარა ნახევარი თავისის ცხოვრებისა, ამისთანა განვითარებული კაცი—ვადაჭრით უნდა ითქვას—რუსეთში არ მოიპოებოდა მე-18 საუკ. არც მისი მომსგავსო.

რუსებს ჯერ თავისის ქვეყნის გეოგრაფია და რუქები არ ჰქონდათ, როდესაც ვახუშტიმ გამოაქვეყნა საქართველოს რუქები და დაწვრილებითი გეოგრაფია, რაც ასე დაფასებულია მეცნიერებისაგან და დღესაც საუკეთესო ნაშრომია ამ დარგში. როდესაც ამას იქით, შემდეგ ოციოდ წლისა, რუსის მწერალმა ტატიშჩევმა პირველად შეადგინა რუსეთის გეოგრაფია რუქებით, ვახუშტიმ გადაქართულა იგი და შიგ ბევრი ცნობები შეიტანა თავისის თავით, (ეს ხელნაწერი ინახება საქ. ქართველთ მუზეუმში). რუსებს პრაგმატიული ისტორია სულაც არ ჰქონია იმ დროს, როდესაც ვახუშტის უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა და საქართველოში გავრცელებული მეცნიერულად შემუშავებული სრული დოლაგებითი საქართველოს ისტორია, რომელიც დღესაც სახელგანთქმულია მეცნიერებაში. ეს მართლა ბუმბერაზი იყო იმ დროინდელ რუსულ მეცნიერებაში; ტოლი მას არ ჰყოლია მაშინ და არც მერე მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევრამდი.

ენის ჰაეროვნობით, ლექსების სიმსუბუქით, პოეტურ აღფრთოვნებით რუსეთში ცალი არ ჰყოლიათ დ. ციციშვილს და მეფე თეიმურაზ II, რომელიც რუსის ტახტს ესტუმრა 1760 წელს რამდენისამე თვით. ამ მწერლებს საზოგადოება იმდენად იცნობს, რომ სიტყვას არ ვაგრძელებ.

ჩვენ განგებ მარტო ის მწერლები დავასახელეთ, რომელნიც რუსეთში მოყვნენ და სიმოკლისათვის არ მოგვიხსენებია ის ქართული მწერლობა, რომელთა ავტორებს რუსეთი სულაც არ ენახათ. მიუხედავათ საშედარებო ასპარეზის ასე შეზღუდვისა, უზაკვილი მკითხველი (თუ იგი გადაკარგული არ არის სიმართლისაგან წინდაწინ აღებულ ცრუ „იდეებით“) ჩვენგან წამოყენებულ მაგალითებიდან იმ აზრს გამოიტანს, რომ სამწერლობო კულტურა (პოეტური, ისტორიული, იურიდიული, ღვთისმეტყველური, პოლემიკური, და სხ.) საქართველოში ბევრით მაღლა იდგა რუსეთისაზე იმ დროს, როდესაც საქართველო ჯერ დაუახლოვდა რუსეთს პოლიტიკურად, მერე შეუკავშირდა მას და უკანასკნელ შეერთებულ იქნა რუსის იმპერიასთან.

შეერთების პირველს წლებშიც რუსეთში გადარეკილი ბატონიშვილები (დავით, იულონ, თეიმურაზ, იოანე და სხ. და მათი ოჯახობა პეტროგრადის საზოგადოებაში განათლების მხრით არავის ჩამოუვარდებოდენ, ოღონ რუსული ენა არ ეხერხებოდათ. ესენი თითქმის ყველანი განათლებულნიც იყვნენ და კარგი მწერლებიც: ამათ დაგვიტოვეს ბევრი თვალსაჩინო ნაშრომი: წვრილი ლექსები, წერილები, გრამატიკა, (დავით), „კალმასობა“ (იოანესი და არა ხელაშვილისა), თარგმანები, ისტორია და სხ. ამათგან თეიმურაზ ბატონიშვილმა თავისის ქართულ ენაზე დაწერილ საისტორიო შრომებით იმდენად სახელი გაითქვა რუსეთში, რომ სამეცნიერო აკადემიის წევრად იქნა არჩეული, თუმცა რუსულად ერთი სიტყვაც არ დაუწერია. მათის ცოლების ნაწერებში ბევრი იპოვება მომასწავებელი მათის ღრმად განვითარებისა (შედარებით იმ დროინდელ რუსის საზოგადოებისა), მგოსნურის ნიჭისა და საერო ცოდნისა.

როდესაც რუსეთის სატახტო ქალაქში მიდიოდნენ ქართველ ელჩებს მეფე ირაკლისასა და დადიანის გრიგოლისას (ნიკოლოზ დადიანს ამხანაგებით) სამეფო ოჯახობას იმპერატორისას და მინისტრებს დიდი ინტერესი ჰქონდათ „აზიის ველურები“ დაენახათ მაგრამ შესცდნენ: ქართველი ელჩები გამოდგნენ არა „ველურები“ არამედ შესანიშნავად გაწვრთილნი ზრდილობაში, მიხვრა-მოხვრაში, ადგომ-დაჯდომაში, სიტყვა-პასუხში, ჭამა-სმაში, დროს გატარებაში, თავაზიანობაში,—ერთის სიტყვით ნამდვილი „ჯენტლმენები“: მათ პეტროგრადელი დიდკაცობა გააკვირვეს თავისი განვითარებით, კულტურით, სითამამით, დარდიმანდობით, თავშეკავებით, ბრძნულ თავდაჭერით. სამეგრელოს ელჩი დადიანი ნიკოლოზი, ყველა ამ ღირსებასთან შემკული იყო კიდე თვალწარმტაც სილამაზით, ახოვნებით, რომელსაც ამშვენებდა საუცხოვო ნაციონალური ჩაცმულობა. ინგლისის ელჩს მისი სურათი გადაუღია ფერადებით, რომელიც ფერადებითვე გამოსცეს ინგლისში. ოციოდე წლის წინეთ ერთი ცალი ინგლისში ბრწყინვალედ გამოცემულის [illegible] სურათებისა ჩვენ ვნახეთ ინგლისური წარწერით გორის მაზრის წინამძღვრი[illegible] სულხანაშვილის სახლში ს. ტირძნისში გაზეთში გამოვაცხადე, მაგრამ დღესაც არ იპოვება ჩვენს მუზეუმებში.

რომ ნიკოლოზ დადიანი განათლებითაც მაღლა იდგა იმ მაღალ რუს საზოგადოებზე, ამასვე უტყუარი მსჯელობა შეუძლია, ვისაც წაუკითხავს მისგან დაწერილი „მოგზაურობა რუსეთში, მალოროსიაში“ და სხ., აგრეთვე მისგანვე აღწერილი მატიანე სოლომონ I-ის სიკვდილიდან 1823 წლამდი („ივერია“ 1878 წ.). ამასთან ეს გახლავსთ ერთი შესანიშნავი საეკლესიო ორატორი,

ამ ჟამათ გერმანია გაცხარებული ამაგრებს აღმოსავლეთ პრუსიას, ამისთვის ცდილობს პოლონეთში იქამდი გაჩერდეს, როცა მაზურის ტბები გალღვება, რაც შეძლებას მისცემს მას გამაგრდეს და ამ ნაირათ აღმოსავლეთი პრუსია რუსის ჯარის დაჭერისაგან უზრუნველ ჰყოს. გერმანია დარწმუნებულია, რომ საფრანგეთი მის ტერიტორიაზე ვერ შეიჭრება, გარდა ელზასისა და დასავლეთ საზღვრისა.

ამნაირათ, გერმანიას იმედი აქვს არა მარტო სერბიას, თუ ამას გარემოება მოითხოვს, იტალიასაც და რუმინიასაც ბოსნიაში, ჰერცოგოვინაში, ტრანსილვანიასა და ტრიესტში კომპენსაცია მისცეს.

ერთ-ერთ დიდ საკითხს, სამშვიდობო კონგრესზე ბელგიის აღდგენა წარმოადგენს, რითაც გერმანიის დიპლომატები ისარგებლებენ და გერმანიის ავსტრიაში ტერიტორიალურ კომპენსაციას მოითხოვენ.

რაც შეეხება რუსეთსა და ინგლისს, გერმანიას შეუძლიან ოსმალეთის ქონებით დააკმაყოფილოს დარდანელსა და ეგვიპტეში. ახალშენების დაკარგვაზე არც კი ფიქრობს, მაშასადამე, ზღვაზე ბატონობის შენარჩუნების იმედიცა აქვს.

— —

მიღებული ცნობებით, ავსტრო-გერმანიის ჯარი ამ დღეებში ხელახლათ სერბიაზე იერიშს მიიტანსო.

——

ვარშავაში პოლონელი „სოკოლები" ხალხში მოწოდებას ავრცელებენ გალიციისა, ბოზნანისა და პოლონეთის სამეფოს ერთ სახელმწიფოთ შეერთების შესახებ, ავსტრიის ბატონობის ქვეშ.

# ახალი ამბავი.

ჩვენმა თანამშრომელმა ბ. ია ეკალაძემ დ. საჩხერიდან აკაკის ოჯახის წევრის ანეტა იურკევიჩის ასულისგან, გუშინ 21 იანვარს, შემდეგი წერილი მიიღო:—

„ბ. ია! **ბიძია აკაკი გუშინ და დღეს თავს შესამჩნევათ უკეთ გრძნობს, რასაც სიამოვნებით გაცნობებთ**".

დღეს 28 დღე სრულდება, რაც ჩვენი მხცოვანი მგოსანი ავათ არის

✦ 20 იანვარს, ღამის მატარებლით ბათომიდან რიონის სადგურზე სასანიტარო მატარებელმა ხუთასამდი დაჭრილი ჯარის კაცი გაატარა. მათ შორის ბევრი ქართველი იყო. დაჭრილები თფილისს მიყავდათ. სამტრედიის რკინის გზის სადგურზე ადგილობრივმა ვაჭარმა ნიკა ელიაძემ დაჭრილებს ვაგონებში პაპიროსები და სხვადასხვა საჩუქარი დაურიგა.

✦ ამჟამათ ქ. შ. წ. კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების სტამბაში თავისუფალია გამგის ადგილი.

✦ **ვასო აბაშიძის გასტროლი.** 20 იანვარს, ქალაქის თეატრში ცნობილი მსახიობის ვასო აბაშიძის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნა სინათლის ავტორის ი. გედევანიშვილის 3 მოქმედებიანი ორიგინალური დრამა „მსხვერპლი". რეცენზიას შემდეგ ნუმერში მოვათავსებთ.

✦ დღეს, ქალაქის თეატრში ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება შექსპირის ცნობილი პიესა „ვენეციელი ვაჭარი" დრ. 5 მოქ. მონაწილეობას ღებულობს მთელი დასი.

✦ გუშინ, საზოგადო საკრებულოს დარბაზში დანიშნული იყო საოჯახო საღამო, რომლის შემოსავლის 20% გადადებულია ჯარში გაწვეულთა ოჯახების დასახმარებლათ.

✦ ქ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა საზოგადოებას 35 წლის არსებობის გამო, შეუდგა განსაკუთრებული ანგარიშების შედგენას. ხსენებულმა გამგეობამ ყველა თავის განყოფილებას დაუგზავნა ცნობები, რომ ანგარიშები დროზე გაუგზავნონ. ასეთივე ცნობა მოუვიდა ქუთაისის განყოფილებასაც.

✦ ურიების უბანი ამ ჟამათ ანტისანიტარულ მდგომარეობაში იმყოფება. მდ. რიონის პირად, საოლქო სასამართლოს გასწვრივ ყოველივე სიბინძურე ყრია, რითაც მდინარის წყალი ძალზე ბინძურდება. საჭიროა, სანიტარებმა ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ.

✦ ქუთაისის დრამატიული დასის მიერ ამ მოკლე ხანში წარმოსადგენათ მზადდება ცნობილი პიესა „**რევიზორი**".

✦ ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბანკის გამგეობა წასული წლის შემოსავალ-გასავლის შედგენას უკვე შეუდგა.

✦ ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთმა" გუშინ მიიღო „ნაკადულის" წასული წლის უკანასკნელი ნომრები: მოზდილთათვის № 12, მცირე წლოვართათვის № 24 ხელისმომწერლებისათვის დასარიგებლათ. კანტორას არ მიუღია იმავე წლის № 23.

კანტორა წელსაც ძველებურათ განაგრძობს „ნაკადულსა", „ჯეჯილსა" და „განათლებაზე" და ყველა ქართულ გამოცემაზე ხელის მოწერის მიღებას.

✦ კანტორამ მიიღო აგრეთვე ხელის მომწერლებისათვის დასარიგებლათ ჯაჯუ ჯორჯიკიას—თხზულებანი 1 ტომი. ხელის მომწერლებს შეუძლიათ მოიკითხონ იგი კანტორაში.

აქვე არის ხსენებული წიგნი გასაყიდლათაც და ღირს 60 კაპ.

✦ დღეს გამოვა ქუთაისში ჟურნალები: „განთიადი"-ს № 2 და „კოოპერაციის" № 27 შინაარსიანი წერილებით. პირველში არის შემდეგი წერილები:

1. მგოსან აკაკის ავათმყოფობის გამო—ისოსი, 2, ბრძოლის ველათ—ესკიზი ლექსათ—ია ეკალაძისა, 3, ბრწყინვალე მომავლისაკენ—მოთხრობა—ივ-ნისა, 4. ბედისწერა—ლექსი—გ. ტაბიძისა, 5. საყოველთაო გეგმა—ნ. ნიკოლაძისა, 6. მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში — ამბერისა, 7. კრიტიკა—ხომლელისა, 8. ახლო აღმოსავლეთი—გულკეთილისა, 9. ჟურნალ გაზეთების ტაცობა—რედაქციისა, 10. მწიგნობრობის თანამგზავრი—ი. კვიცარიძისა, 11. ომის მატიანე, 12. პროვინცია.

„**კოოპერაციის" შინაარსია**: 1) მეთაური — საგუბერნიო კოოპერატივზე; 2) მგოსან აკაკის ავათმყოფობის გამო, სურათით,—ისოსი; 3) ს. ა. კაბლუკოვი, ნეკროლოგი; 4) ჯორჯ ხოლიოკი, როჩდელის პიონერთა ისტორიკოსი, ბიოგრაფია სურათით; 5) კოოპერაციის მოამბე (ადგილობრივი და რუსეთის კოოპ. ცხოვრება); 6) საგუბერნიო კოოპერატივის დამარსებელისაგან, 7) სანიმუშო ინსტრუქცია მომხმარებელი კოოპერატივის საზოგადო კრებისთვის, 8) ყველა ქართულ ჟურნალ.-გაზეთების პირობები და სხვ.

**შეცდომის გასწორება:**

გუშინდელ რეცენზიის ბოლოში დაბეჭდილის ნაცვლად უნდა იყოს: „ჩვენი თეატრი, ასეთ პირობებში მყოფთათვის, ერთად-ერთი დაწესებულებაა, სადაც ქართულ ენას სრული თავისუფლება აქვს და ვინც **ამით** ვერ ან არ სარგებლობს ის მიუტევებელ დანაშაულს ჩადის ერის წინაშე". **მ.**

# თფილისი.

**მოხელეთა ცოლშვილის გახიზვნის შესახებ.** ამას წინათ გაზეთებში ცნობა იყო მოთავსებული, რომ მოხელეებს წინადადება მიეცათ მთავრობისაგან ოჯახობა რუსეთში გაგზავნონო. მათ ფულიც დაურიგეს ამისათვის. ზოგი უწყების უფროსს ეს ისე გაუგია, თითქო ცოლშვილის გაგზავნა სავალდებულო იყოს მოხელეებისათვის და ვინც ბრძანებას არ შეასრულებს, მას სასჯელი მოელისო. დეპ. ჩხენკელმა 18 იანვარს ინახულა ნამესტნიკის თანაშემწე გოფმეისტერი პეტერსონი და სხვათა შორის იგი შეეკითხა ზემოთ-მოყვანილ განკარგულების შესახებ. გამოირკვა, რომ კავკასიის უმაღლეს მთავრობას ასეთი "განკარგულების მსგავსი რამ არ გაუცია. მან მხოლოდ წინადადება მისცა მოხელეებს, ვისაც სურს, გახიზნოს თავისი ცოლშვილი და ამისათვის ხაზინიდან წინასწარ ნივთიერი დახმარება აღმოუჩინა. მარა გახიზვნა სავალდებულო არ არის. ვისაც არ უნდა, შეუძლია არ გაგზავნოს ოჯახობა. მას მხოლოთ გასახიზნათ მიცემულ ფულს გამოუქვითავენ ჯამაგირიდან. სასჯელი კი არავითარი არ მოელის.

— **ქალაქის ფურნის პროექტი.** ვ. ს. მირზოევი თფილისის ქალაქის თვითმართველობას ურჩევს მოაწყოს ქალაქის ხარჯზე მუნიციპალური ფურნე, რომელშიაც შეიძლება დღეში გამოცხვეს 300 ფუთი პური. ასეთი ფურნე ბ. მირზოევის აზრით დაჯდება 7,500 მანეთი. თუ ასეთ ფურნეს ქალაქი ააშენებს, ბ. მირზოევი თანახმაა იკისროს პურის გამოცხობა თავისი წყლით, შეშით და მუშით, თუ მას ქალაქი თითო ფუთ გამომცხვარ პურზე 30 კაპეიკს მისცემს. ფურნე საჭიროა მართლაც ააშენოს ქალაქმა, მაგრამ ის კერძო პირებს არ უნდა ჩაუგდოს ხელში. ასეთი ფურნის დაარსებას მიზნათ უნდა ექნეს პურის ხელოვნურათ გაძვირებასთან ბრძოლა, მაგრამ საქმეა, რომ დღევანდელმა ქალაქის მესვეურებმა ასეთი „დანაშაული" ჩაიდინონ.

— ქალაქის გამგეობამ დონის როსტოვიდან გამოიწერა 40 ვაგონი ფქვილი რომელსაც ნიხრის ფასებზე ხუთი პროცენტის დათმობით მიყიდის მეპურეებს. ამ ორმოცი ვაგონიდან 25 ვაგონი მეფურნეებს მიეცემათ და 15 ვაგონი მეთორნეებს. ქალაქის გამგეობამ ამის სისრულეში მოსაყვანათ მიიწვია მეპურეთა მამასახლისები, რომლებიც შეადგენენ იმ მეპურეთა სიას, რომლებსაც უნდა მიეცეს ფქვილი.

— სარიყამიშისკენ გაიგზავნა ერთი ავტობუსი, რომელზეც შეიძლება ოცი დაჭრილის მოთავსება.

— ქალაქთა კავშირის კავკასიის განყოფილებამ სარაყამიში გაგზავნა ექიმი კარაპეტიანცი იქ დეზინფექციის მოსახდენათ.

— ბაქოდან თფილისის ქალაქის მოურავს დეპეშით ატყობინებენ, რომ იქ ლაზარეთში აღმოჩნდა მრავალი გადამდები ტიფით ავადმყოფი, ამიტომ აქეთ დაჭრილების გამოგზავნა დროებით შეაჩერეთო.

— წყალსადენის მილების გარეცხა. რადგანაც ქალაქში თანდათან ვრცელდება გადამდები ავათმყოფობა ქალაქის გამგეობამ გადასდვა 80 მანეთი თფილისის წყალსადენის ზოგიერთი მილების გასარეცხათ და კირით დეზინფექციის მოსახდენათ.

# სახელმწიფო სათათბიროს საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

19 იანვარი. საღამოს სხდომა. მიღებულია სავაჭრო სამინისტროს ხარჯთაღრიცხვა: სამთო დეპარტამენტისა და სავაჭრო ნაოსნობის ნაწილებისა, ახალი ნავსადგურების აგების და ძველების გადაკეთების შესახებ. ამის განმარტებას იძლეოდა ვაჭრობა მრეწველობის მინისტრი.

შემდეგ გაირჩა სამხედრო სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა. სხდომაზე დაესწრენ სამინისტროს მრავალი წარმომადგენელი, სამხედრო მინისტრის თანაშემწე და სახელმწიფო სათათბიროს თავჯდომარე. საბიუჯეტო კომისიის თავჯდომარის განკარგულებით, სტენოგრაფები კრებას სტოვებენ. სხდომა დახურულ კარებში სწარმოებს.

# პატარა ფელეტონი.

**მოვსთქვამ და ვსტირი!..**

ღონე მიხდილი, თვალ-ცრემლიანი, გარინდებული, იმედ-მხობილი და სევდიანი, დასუსტებული, დავალ ამ სოფლად, ვით ხეწარი, რკალებრ მოხრილი, წელში დრეკილი და ვეძებ კვლავად სატრფოს ჩემსას, სატრფოს დაკარგულს, სატრფოს გულისას, ჩემს მონახვრეს—სევდა-ვარამის გამზიარებელს, ოლიმპიის მთის შესადარებელს,—ვერ, ვერ ვნახულობ, ღირსი ვარ კრულვის, და ამიტომაც...

მოვსთქვამ და ვსტირი!..

ჩემს მარტოობას, [illegible] ობლობას და განუსაზღვრელ ტანჯვა-წვალებას შევჩივი ყველას, თვალ-ცრემლიანი მუხლებსა ვიდრეკ, ყველას თავს [illegible] ხოვ შველას და [illegible]

მოვსთქვამ და ვსტირი!..

ცას კოხტად შემკულს, ცას მოელვარეს, ცას ზურმუხტოვანს, ცას გაბრწყინვებულს, დილის რიჟრაჟზე აფერადებულს, — ვესაუბრები გულ-დასერილი, ცრემლებში ნალეს ცივს ხმასა ვაწვდენ ვედრებით რომ მიმითითოს სატრფო ჩემი,—სატრფო ერთგული და მით მოუღოს ბოლო ჩემს ტანჯვას, ბოლო ვნებული, რის წყალობითაც ობლად შთენილი, უმწეო, მწირი დღე-ღამ უწყვეტლად.

მოვსთქვამ და ვსტირი!..

ცის და ამ ქვეყნის შემქნელს და მფლობელს, ზნელეთის ძალებს და იმათ მპყრობელს, ნაპრალსა კლდესა, ჭაობს, ტყეღრესა, აზვირთებულსა ცათამდე ზღვასა, პაწა ნაკადულს მოცქრიალესა, ფრინველთა გუნდსა მოჟრიამულეს,—ყველას შევსჩივი ჩემს გაჭირებას, მარტოხელობას, ვსთხოვ მიჩვენონ სადრფოს გზა-კვალი, ანნატერფალი, რომ თვალებს დაღლილს მწარე ტირილით, გულს აჩქეფლებულს კვნესა წუხილით ერთი წუთით მაინც მისცეს სიმშვიდე, მისცეს ხალისი, არა ჩვეულმა ჩემმა არსებამ ერთხელ, რომ მაინც გადაიხადოს ზეიმ მეჯლისი, რადგან სიყრმიდვე არ მიგემია ლხენა, შვება მე, რის წყალობითაც თქვენ, თქვენ მოგმართეთ, თქვენი კვნესა მე,—და შემიცოდეთ მე განკრეხული, ობოლი სული, ვით განდევნილი ამა ქვეყნიდან, ტანჯვისა შვილი, და ხომ კი მიცქერთ ფეხებშიშველა და დაფლეთილი, გნუკავთ, ცათამდე ხელ აშვერილი...

მოვსთქვამ და ვსტირი!..

ხმას აღარ იღებთ?! ჩემთვის დაყრუვდით განა ყველანი?.. გსურთ მიმატოს გულს კაეშანი?.. მაშ, ეს მითხარით, მომეცით მაინც მცირე ნუგეში, ცოცხალ არს იგი, თუ სხვა ვინმეს ეკვრის უბეში?.. მარტოა იგი, თუ სულ სხვა ვინმეს ეტრფიალება, გულს ეკონება, გაყოფილი აქვს მასთან მწარება!? მაშ, თუ ასეა, მითხარით, ბარემ, სად იმყოფება, რომ იქ მივიდე, ცრემლებათ დავდნე, ვნახო ღვთაება და შემდეგ მისა ტყედ გადვიხვეწო, ვიკვნეს—ვირბინო, ვითა ეული, ჭაობს მივადგე დავვლეჯ-დავფხრიწო წყლის ხეობანი ამწვანებული... ვნახო ლერწამი და გამოვსთალო მე სალამური, მივიდე იქა, სადაც ჩემს სატრფოს თვისი მიჯნურის ათრობს და ატკბობს ცრუ სიყვარულის გიჟური წამი, მივუახლოვდე შორი-ახლოს და გავაგონო ხმა ზეციური, ხმა საამური; რომ იმ ჰანგისგან შეძრწეს და გასკდეს, როგორც ზევით ცა, ისე ქვესკნელი, მკვდრები გაცოცხლდნენ და ყველამ ჰპოვოს თვისი მიჯნური და თვისი მხსნელი...

თქვენ კიდევ სდუმხართ და ჩემს ვედრებას იოტის დონეთ არ აქცევთ სმენას, სჩანს, გსურთ რომ მოვყვე წყევლა, ყვედრებას და კრულვა ვუძღვნა მე ჩემს გაჩენას!? რადგან ასეა, უმჯობესია რომ მალად გაგშორდეთ, ტყე-ღრე ვიარო, არ შეგაწყინოთ და ჩამოგშორდეთ, კვლავ ცრემლი ვღვარო!.. მევე ვეძიო ჩემივე სატრფო, ვიხეტიალო, ან მკვდარს, ან ცოცხალს იქნებ წავაწყდე სადმე! თქვე მწყრალნო!.. მხოლოდ მანამდის ნარგუნები მაქვს სულ-სულ ვიტირო, ვიკვნესო ვიჟივლო, როგორც რომ ეხლა...

მოვსთქვამ და ვსტირი!..

**დ. საქარელი.**

# ომში მოკლული და დაჭრილი ქართველები.

**ქალაქის ლაზარეთში № 14.**

უნგიაძე ერასტი პეტრეს ძე, ს. ჯვარცხმა, ოზურგეთის მაზრა. მსუბუქად არის დაჭრილი. კვალიაშვილი ლავრენტი ბესარიონის ძე, ს. მოხისი, გორის მაზრა. მსუბუქად არის დაჭრილი. ტიტვინიძე დავით ივანეს ძე, სოფ. არადეთი, გორის მაზრა, დაჭრილია ხელში. სამნიაშვილი ივანე სვიმონის ძე, ს. წვერი, გორის მაზრა. დაჭრილია მხარში.

ახობაძე ივანე არსენის ძე, ს. კულაში, ქუთაისის მაზრა. დაჭრილია ფეხში. შენგელია პეტრე ფილიპეს ძე, ს. ტობანიერი, ქუთაისის მაზრა, დაჭრილია მსუბუქად. ჭიჩაშვილი ილია როსტომის ძე, ს. აძვი, გორის მაზრა. დაჭრილია ფეხში. ნიქასიშვილი გიორგი საჩინოს ძე, ს. კაბანი, თელავის მაზრა. დაჭრილია ფეხში. მოდებაძე ივანე მალაქიას ძე, ს. ჯოყვეთი, შორაპნის

რომლის ქადაგებანი არ ჩამოუვარდებიან ღირსებით განთქმულის ანტონ ჭყონდიდელისას (1815 წ.) ეს ნიკოლოზი, პოლკოვნიკად დაბრუნებული რუსეთიდან, გენერლობაში გადაიცვალა 1834 წ. ღრმად მოხუცი.

გავჩერდეთ; რაც გვითქვამს, ისიც კმარა იმ ჭეშმარიტი აზრის გასაჭვრეტად, რომ მეცხრამეტე საუკუნემდი ქართული მწერლობა და კულტურა რუსეთისაზე მაღლა იდგა. მაგრამ შეიძლება ვინმემ იფიქროს, ვითომ რუსეთში ისეთი „სპეციალური" მწერლობაც იყო გავრცელებული, რომელიც ქართულ მწერლობაში არ მოიპოვებოდა—და სხ. და სხ. ამაზე მოკლედ გიპასუხებთ: სპეციალური ორიგინალური თვალსაჩინო მწერლობა მეცნიერების სხვა და სხვა დარგზე რუსეთს მაშინ არ მოეპოვებოდა, მარტო ევროპიელთა ენისგან გადმორუსულებული ქონდათ და ისიც ცოტა (თვით ევროპაში იმ დროს შედარებით დაბლა იდგა სპეციალური განათლება). როგორც-კი ამისთანა წიგნებს ქართველები შენიშნავდენ, რომლის მსგავსი საქართველოში არ მოიძებნებოდა უსათუოდ დაუყოვნებლად გადმოაქართულებდენ. ამისთანა ხელნაწერებით სავსეა ჩვენი მუზეუმები და ამიტომ ამ კითხვას უფრო დაწვრილებით არ შევეხები: ვისაც ნებავს, მუზეუმების კატალოგები გადაათვალიეროს.

შეიძლება მკითხველმა თავის გულში იკითხოს, თუ საქართველოს კულტურა-განათლება აწერილ ხანებში რუსეთისაზე მაღლა იდგა; მაშ ასე რამ აამაღლა რუსეთი და რამ დააუძლურა საქართველო პოლიტიკურადო?

ამაზე აი ჩემი მოკლე პასუხი: რუსეთი პოლიტიკურად აამაღლა სამხედრო რეფორმამ პეტრე დიდისამ, რუსის „რეგულის სალდათმა". პეტრემ დროზე შემოიღო ახალი ევროპიული წყობილება ჯარში, ახალი „დისციპლინა", მუდმივი ჯარი.

ერეკლე კარგად ხედავდა „რეგულის" ღირსებას, მაგრამ სანამ მამა მისი თეიმურაზ მეფე ცოცხალი იყო, ამაზე კრინტიც არ დააძვრევინა თავის შვილს. რატომ?

თეიმურაზ-მეფე იყო ღრმად გამჭვრეტი კაცი, შორს მხედველი რამდენად ერეკლეს სამხედრო გენიოსობა მაღლა იდგა თეიმურაზისაზე, იმდენად ეს უკანასკნელი სჯობნიდა მას, როგორც შორს მჭვრეტი პოლიტიკოსი. თეიმურაზი ხედავდა, რომ „რეგულის" ჯარის გაჩენა იმ წესით, როგორც რუსეთშიდა ევროპაში არსებობდა, დიდ ხარჯს მოითხოვდა, ხალხს დაბეგრავდა, ქვეყანას აუყაყანებდა, მრავალ უწესოებას გამოიწვევდა, ქართლს ხომ უამისოდაც თვალები რუსეთში მყოფ ვახტანგ მეფის შთამომავლებისაკენ ეჭირა თვალი („ჩვენი მკვიდრი ბატონიაო"). და პირველისავე ხალხის უკმაყოფილობით ისარგებლებდენ, რომ რუსეთიდან გამოეწვიათ მკვიდრის ბატონის შთამომავლობა გასაძევებლად კახბატონის მოდგმისა ქართლის სამეფოდან. გარდა ამისა „რეგულის" ჯარის დისციპლინას შემოჰქონდა მეტად სასტიკი ხორციელი დასჯა, „როზგები", დამნაშავის „წრეში გატარება" („провесть черезъ строй"), როდესაც გატარებულს ყველანი წკნელებით სცემდნენ, ხშირად სიკვდილამდი, 25 წლის სამსახური მეტად სასტიკ პირობებში და სხ. ამისთანა უჩვეულოსა და „უღმერთო" წესებს ქართველი ხალხი ვერას გზით ვერ შეურიგდებოდა.

მამის სიკვდილის შემდეგ ერეკლე მეფემ შემოიღო სამუდამო ჯარი და რეგული პეტრე დიდის „არტიკულებით" (თარგმნილია ქართულად); მაგრამ გამართლდა თეიმურაზ-მეფის შიში: 1765 წელს საიდუმლო შეთქმულებამ რამდენისამე თავადებისამ კინაღამ არ იმსხვერპლა მეფე: „რეგული" არავინ მიიღო; „როზგებზე" ხომ ხსენებაც არ შეიძლებოდა: ქართველი კაცი „როზგს" არას გზით არ დაირტყამდა. ამნაირად მეფე იძულებული იყო „რეგულის" მაგიერ შემოეღო „მორიგი ჯარი", „სამ წლიან პაიმანით" (ვადით) და იმისთანა წესებით, რომელნიც არ მოგვაგონებენ „რეგულის" უმსგავსო ბარბაროსობას.

ამნაირად, ერეკლე მეფემ სცადა მაინც „რუსულ განათლების" შემოღება ჯარში და თუ ეს ცდა არ შეუსრულდა—მადლობა ღმერთს! „რეგული" პეტრე დიდისა მოითხოვდა ხალხის „გაკრეპოსტნიკობას", ე. ი. კაცობრიულ უფლებებისაგან გაშიშვლებას, „გაროზგვას" ხორციელს, ათასნაირს სასჯელს, რომელსაც თავისუფლებაში გაზრდილი ქართველი გლეხი არ იკადრებდა.

სამაგიეროდ ერეკლე მეფემ განკარგულება გასცა, რომ სამხედრო სასწავლებლები დაარსებულიყო თფილისში, გორში და თელავში, იმავე დროს ახალი ჯაბახანა შემოიღო, სადაც ასხამდენ ზარბაზნებს ქართველივე მოხელენი. ერეკლემ საგანგებოდ კაცები გაგზავნა სტამბოლს—ზარბაზნის ჩამოსხმის ხელობა შეესწავლათ. („ახ. ქარ.").

მაზრა. დაჭრილია ხელში. ნინუა ვლადიმერ გოგიას ძე, ს. შხეფი, სენაკის მაზრა. დაჭრილია ფეხში. ლაპიაშ-ლიანი გიორგი სტეფანეს ძე, ს. ლაჯანა, ლეჩხუმის მაზრა. დაჭრილია ხელში. ფირაძე მეთოდე სპირიდონის ძე, ს. ტაბაკონი, შორაპნის მაზრა. დაჭრილია ზურგში და ფეხში. ჯანაშია ესტატე კუტოს ძე, სენაკის მაზრა. ავად არის. სულაგავა ტრიფონ გლახას ძე, ს. ნაგვაზოუ, სენაკის მაზრა. ავად არის. პეტრიაშვილი ნიკო იოსების ძე, ტფილისის მცხოვრები, ავად არის. სვანიშვილი თედო ქიტოს ძე, ს. ახალციხე, გორის მაზრა ავად არის. უშვერიძე ივანე ყარამანის ძე, ს. ჩოჩხათი, ოზურგეთის მაზრა. ავად არის. კობახიძე ვლასი ვასილის ძე, ს. ამაღლება, ოზურგეთის მაზრა. ავად არის. ცუცქირიძე ვასილ ლუარსაბის ძე, ს. სვირი, შორაპნის მაზრა. ავად არის. საჭინავა მიხა გერასიმეს ძე, სოფ, ვარჩერი, სოხუმის ოლქი. ავად არის. მჭედლური ლევან, ს. ამშო, თიანეთის მაზრა. ავად არის. მანძულაშვილი დავით სიმონის ძე, ს. ახალციხე, გორის მაზრა. ავად არის. ზერეკიძე ალექსანდრე სვიმონის ძე, ს. მეჯვრისხევი, გორის მაზრა. ავად არის. დათიაშვილი დათა მიხას ძე, სოფ. კიბანი, გორის მაზრა. ავად არის. ლომიძე მიხეილ გიორგის ძე, სოფ. ახალ-დაბა, გორის მაზრა. ავად არის.

## სტავროპოლში.

ნასყიდაშვილი სამსონი, იოსებ შალიკაშვილი, ედილაშვილი პეტრე დაჭრილია შრაპნელით, ივანე ჩხეიძე ავათ არის, ლეონტი პორფირი დამძრალია, რამან უთმელიძე, შემთხვევით დაშავებული მარჯვენა ფეხში, გრიგორ შეყლაშვილი, ივანე თვარელიძე, დაშავებულია ფეხში შემთხვევით.

## თფილისში მოიყვანეს და დონის როსტოვში გაგზავნეს:

გუჩმაზაშვილი ილია, გორის მაზ. ს. არბო. ველიაშვილი ივანე, დუშეთის მაზ. ს. იორი, რაზიკაშვილი პავლე, თიანეთის მაზ. ს. ჩარგული. მაჩაკანიანი გრიგოლ ზუგდიდის მაზ. ს. კულიჩხო. ქოჩუა ლევან, ზუგდიდის მ. ს. მულუხი. ზერაგუა ალექსი ზუგდიდის მ. ს. ოქუმი. ავსაჯანოვი ალექსანდრე, დუშეთის მ. ს. ყაზბეგ-არშა. გუდუშაური სტეფანე. დუშეთის მ. ს. ყაზბეგი. სიხარულიძე ივლიანე გიორგის ძე ს. უჩხუბი (გურია), დაჭრილია მარჯვენა ხელში. გოგეშვილი ალფესი ნიკოს ძე. ს. უჩხუბი (გურია), დაჭრილია მარჯვენა ხელში.

---

## პეტროგრადის ლაზარეთებში.

მაზგარაშვილი დიმიტრი სტეფანეს ძე, თფილ. მაზრა, სოფ. ლაგოდეხი. იამანიძე არჩილ მათეს ძე, ქუთ. მაზრა, ს. კურსები. გერწაძე აბესალომ ბართლომეს ძე, სენაკის მაზრა, დაბა სამტრედია. თადიაშვილი იოსებ ნიკოლოზის ძე, თელავის მაზრა, სოფ. ურიათ-უბანი. გუნია ლავრენტი გრიგოლის ძე, სენაკის მაზრა, სოფ. ეკი. შაქია ეგნატე ჩახიას ძე, სენაკის მაზრა, სოფ. ბედია. თიკარაძე ლავრენტი გრიგოლის ძე, ოზურ. მაზრა, სოფ. ჩოჩხათი. მაისურაძე ალექსი მიხეილის ძე, გორის მაზრა, სოფ. ერედვი. კირკიტაძე ნესტორ სიმონის ძე, შორაპ. მაზრა, სოფ. თავასა. დგებუაძე ნიკოლოზ (კოლია), ალექსანდრეს ძე, ქალ. ქუთაისი. ფეიქრიშვილი შაქრო შიოს ძე, სოფ. ბაკურციხე, თელავის მაზრა. ნიკოლაიშვილი ალფეზ ანტონის ძე, რაჭის მაზრა. გაბიჩვაძე პორფილე იოსების ძე, სოფ. ძირაგეული, რაჭის მაზრა. ახსაბაძე დიმიტრი თედორეს ძე, ს. წილკანი, დუშეთის მაზრა. ხონელიძე დიმიტრი პავლეს ძე, ს. საჭილაო, სენ. მაზ. ჩომაძე ლუკა ნიკოლოზის ძე ს. ნაქალაქევი, სენ. მაზ. ლიპარტია მიხეილ ტაგის ძე, ს. ქვალუაში, ზუგდ. მაზ. ბაჯიაშვილი გიორგი ლაზარეს ძე, ს. მუხათი, თფილ. მაზრა. გაგნიძე ვასილი დავითის ძე, თფ. მაზრა. გოგრონიძე დიმიტრი ნიკოლოზის ძე, ოზურგ. მაზ. ტუკვაძე ნიკოლოზ. გოგის ძე, შორაპ. მაზ. თოფურია სტეფია ბ., სენაკ. მაზრა კუპატაძე კონსტანტინე თევდორეს ძე, შორაპ. მაზრა, ჩიგოგა ბესარიონ დიმიტრის ძე, სოფ. სვირი, ქუთ. მაზრა. ანტიძე (ან ანთიძე) კალენიკა გიორგის ძე. ს. ბჟოლეთი, ოზურგ. მაზრა.

მისამართი წერილებისათვის Петроград Николаевская 3, кв. 4, Пр. пов. Д. З. Чiаберову.

---

# თეატრი და ხელოვნება.

„გაცრუებული იმედები“—კომ. 2 მოქ. აზიანისა. „ხანუმა“—კომ. 3 მოქ. ა. ცაგარლისა. წარმოდგენილი ვ. აბაშიძის მონაწილეობით კვირას, 18 იანვარს.

მარმარილოს იბადება მიწაში და საჭიროა მიქელ-ანჯელო, რომ გამოკვეთოს სახე მზე—აპოლონისა, ანუ ხშული ვენერასი.

ავტორის მიერ დახატული ტიპი იგივეა, რაც მიწაში ჩამარხული მარმარილო, საჭიროა გაჩნდეს მხატვარი, აღსდგეს ხელოვანი, შთაბეროს სული თეთრ ქაღალდზე გამოყვანილ მშრალ სიტყვებს ავტორისას, აამეტყველოს იგი, შესხას ხორცი, შთაბეროს სული და გრძნობათა ქსელით მოქარგული ხატებით აატიროს გული მსმენელისა. მაშინ დავემონებით ჩვენ ხელოვანს, მაშინ ვუწოდებთ ჩვენ მას ღმერთსა. ასეთი ღმერთი სუფევდა 18 იანვარს ქუთაისის უბადრუკ სცენაზე და ეს ღმერთი-ხელოვანი ვასილ აბაშიძე იყო. რად არ აღსდგება მიქელ-ანჯელო, რად არის როდენი, რომ გამოკვეთოს სახე აბაშიძის სტეფანესი (გაცრ. იმედები) ან მისივე აკოფასი („ხანუმა“) და უკვდავჰყოს იგი სამარადისოთ შვილთათვის გადასაცემად უკუნითი უკუნისამდე.

თუ ქუთაისის თეატრმა მრავალი საღამო მომიწამლა ათასწილ მიზლო ეგ ტანჯვა ჩვენმა დიდებულმა მსახიობმა.

საკმარისია გამოკვეთო ქმნილებანი აბაშიძისა და გამოფინო კაცობრიობის წინაშე, ყველა მცირედ მაინც ხელოვანი აღტაცებაში მოვა და უვიცნიც ინსტიქტიურად მუხლს მოიყრიან ასეთი იშვიათი შემოქმედების წინაშე.

დიდება იმ ერს, რომელიც შობს ასეთ ხელოვანს და უბედურება იმათ, ვინც ვერ სჭვრეტენ და ვერა გრძნობენ მაცხოველებელ მზის ელვარებას და მუდამ ჩვრებში ახვევენ მნათობს, რომ არ დაბრმავდენ.

დაე თვით თვალი სულ აიხვიონ, გული და სული დაადუმონ. ჩვენ არ გვსურს ეგ. ჩვენ გვინდა რომ საქართველოს მზე ოთხი კუთხივ ანათებდეს და იმგვარად ათბობდეს ქვეყნიერებას, როგორც მზე ყოველივე სხვა ერისა.

ერთგან ჩემს მიერ მოყვანილი დებულება: „გენია მხოლოდ მშობლიურ ნიადაგზე გაშლის ფრთას, გასხივოსნდება და შექმნის საკაცობრიო ნაწარმოებსო“ აქაც გამართლდა.

იქ ეს შენიშვნა რუსთველის შესახებ გამოთქმული, აქ ვ. აბაშიძეს ეკუთვნის.

დანარჩენებმაც იგრძნეს ფეხ-ქვეშ ნიადაგი, მზის ელვარებამ მათაც უცხუნა და თავიანთ სალაროში მიმალული მთელი მასალა გამოააშკარავეს. დიდათ მოხარული ვარ ასეთი მოვლენისა და ვუსურვებ ჩვენ დასს მუდამ ამ გზით ევლოს, არამც თუ ვუსურვებ, მოვითხოვ კიდეც, რადგანაც მხოლოდ აქ არის თქვენი ხსნა და თუ თქვენ არ გესმით ეს, ჩემი ვალდებულებაა თვალი აგიხილოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ უფსკრულს თავს ვერ დააღწევთ და შიგ რომ ჩაიფლებით გვიან იქნება, ჩვენც მეტად გულს გვატკენს ასეთი მოვლენა. ჩვენ ვაფასებთ თქვენს ღვაწლს, თქვენ წარსულ ამაგს, მაგრამ ცხოვრება სასტიკია, ჭეშმარიტება ულმობელი!

მიუხედავათ ასეთი საუცხოვო წარმოდგენისა და ეფექტები აქაც საკმაოდ იყო, მაგრამ თუ სხვა წარმოდგენის დროს ეს დეფექტები თვალსა და გულში გეჩხირებიან და მოსვენებას არ გაძლევენ, გიშლიან პიესის მოსმენას, იმიტომ რომ იქ მთავარი ნერვი პიესისა მოდუნებულია, თავის კალაპოტში ვერ არის, აქ უმთავრესი ძარღვი პიესისა ისე მედგრად სცემდა, რომ ჩრდილავდა მრავალ შეცდომებს.

მაინც აღსანიშნავია ზოგიერთი რამ: მეტად უხერხულია, როდესაც მთელი რიგი ერთ და იმავე მსახიობთა თამაშობს ერთ საღამოს ორ სხვადასხვა პიესაში. ამ საღამოს ორსავე აღნიშნულ პიესაში თამაშობდენ: ვ. აბაშიძე, გ. იმხნელი, ტ. აბაშიძე, მ. ქილარჯიშვილი, ნ. ჯავახიშვილი. როდესაც დასის შემადგენლობა ნებას იძლეოდა ეს მოვლენა არ ყოფილიყო, რადგანაც შესაძლებელი იყო ორ საანგარიშო პიესათაგან ერთ-ერთი (მაგ., „ხანუმა“) დაედგათ და თავში, ან ბოლოში ვოდევილი დაერთოთ. მაშინ ხელოვნური ზომაც დაცული იქნებოდა, დასისა და მაყურებელთა ენერგიაც დაიზოგებოდა.

ნ. ჯავახიშვილს ბრალი არ მიუძღვის, თუ მისი ბურთიკაანთ ხანუმა მკრთალი მეჩვენა ჩვენი სცენის დაკარგული დიდება ნ. გაბუნია ცაგარლის ხანუმას შემდეგ. ვისაც უნახავს დაუვიწყარ ნატოს ხანუმა, მთრთოლვარე, სისხლ-ხორც შესხმულ მარმარილოსგან გამოკვეთილი ხატება, ის ვერასოდეს დაივიწყებს გაბუნიას ქანდაკებას და სხვა, ნაკლები ნიჭის პატრონი მსახიობი მუდამ წააგებს ამ როლის ასრულებაში. ამას გარდა ამ საღამოს ჯავახიშვილის ქალმა შენიშნა. მსახიობს სჩვევია რაღაც უცნაური, ნერვების აშლილი სიცილი. ეს სიცილიც კი არ არის, არამედ რაღაც ხითხითია. ნატურალისტურ დრამაში შეიძლება გამოდგეს ეს ხითხითი, მაგრამ მხატვრულ რეალიზმის დარგში ყოვლად შეუწყნარებელია. აქ იმიტომ აღვნიშნავთ ამას, რომ ამ ხითხითს ბევრი ტანჯვა მოუტანია ჩემთვის და ამ საღამოსაც მეშინოდა, ვაი თუ ისევ მოუვიდეს მსახიობს-მეთქი. იმის მაგივრად, რომ ყური მეგდო მისთვის, ღმერთს ვევედრებოდი აეშორებინა ჩემთვისა და მსახიობისთვისაც ეს ხიფათი. მიუხედავად ყოველივე ამისა ნ. ჯავახიშვილის ხანუმა კარგი იყო, სცენაზე ვხედავდით ცოცხალ, გაიძვერა, გამოქნილ ხანუმას, რომელიც მაჭანკალის სინონიმად გადაიქცა. გაცრუებულ იმედებშიაც მოგვეწონა ჯავახიშვილის ნინო.

გუშინდელ რეცენზიაში გამოთქმული აზრი იმხნელმა ვერც დღეს დაარღვია. ტ. აბაშიძე (სონა—„ხანუმაში“ და ლიზა—„გაცრ. იმედებში“), ვ. გუნია (ვანო ფანტიაშვილი)—ძველი ქართველი, მოქეიფე თავადი, ნ. გვარაძე (კოტე ფანტიაშვილი), ნ. ციციშვილი (ტიმოთე), მ. ქილარჯიშვილი (ქაბატუა—„ხანუმაში“ და კეკელა—„გაცრ. იმედებში“), მ. მდივანი (სონა—გაცრ. იმედ.“), თუხარელი (გლეხი კაცი), სარელი (ბიჭი), მ. გოგოლაშვილი (ს-რა) ცოცხალ სახეებს გვიჩვენებდენ, ძალდაუტანებლად, ბუნებრივ და სცოცხლობდენ სცენაზე.

ა. ტობანელმა იმედები გაუცრუა, როგორც ავტორს, ისე მსმენელსაც. ეს მსახიობი, როგორღაც არც ერთ როლში ვერ არის თავის ტაფაში. ჯერ იყო და თვალებში ვერ შემეხედნა, თითქოს სხვა ქვეყანას არიანო, უსიცოცხლო და შავად ღვრიე, შემდეგ ეს ნაკლი თანდათან თითქოს აიცილა. მეორე—ერთგვარი ჟესტები, ერთი და იგივე საშვალებანი ყველა როლის განსასახიერებლად. მესამე—საშინელი რუსული მახვილები ქართულში. ამ მხრივ იგი ნამდვილი alter ego-ა ვ. გუნიასი. სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს ვ. გუნიამ აიცდინა ეს ნაკლი დროებით, თუ სამუდამოთ ეგ ძნელი სათქმელია. იმედი ვიქონიოთ, რომ სამუდამოთ. ტობანელს თუ უნდა დამკვიდრდეს სცენაზე და უყვარს იგი (რომ უყვარს ვიცი) თითოეული როლი კეთილსინდისიერად უნდა მოამზადოს კეთილსინდისიერი რეჟისორის ხელმძღვანელობით. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი შეითვისებს იმ ყალბ საშვალებებს, რომლებითაც დღეს სარგებლობს და მომაბეზრებელი გახდება.

არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ შემდეგი უხერხულობა: აფიშებსა და პროგრამებშიაც ჯერ აღნიშნულია „ხანუმა“, შემდეგ „გაცრუებული იმედები“. ითამაშეს კი უკუღმა. ეს ისეთი გაუგებრობას ბადებს მსმენელთა შორის, რომელიც თვით მსახიობთათვის არ არის ხელსაყრელი.

აზიანის ენა რუსულით აჭრელებული ხელოვნურია და საამო იყო, როდესაც ჩვენი კლასიკი აქვ. ცაგარლის წმინდა, ბუნებრივი ქართული მოისმა სცენიდან. თუ აზიანის დიალოგისთვის ყურადღებით უნდა მესმინა—ცაგარლის ენა თვით მოცი ლებდა და სმენას ატკბობდა. ისეთი გრძნობა განვიცადე თითქოს ზაფხულის სიცხით დამაშვრალი დაბლობიდან მაღალ ქედზე ავსულიყავ, სადაც კავკასიონის ნაზი, თან სუფთა და მკვეთრი ნიავი დაქრის.

მთელი მოწყობილობა სცენისა, დეკორაცია, თუ ავეჯეულობა ერთიანად ცეცხლს უნდა მიეცეს. ასეთ უშნო, ულაზათო, ჭუჭყიანი არა უნახავს რა ჩემს თვალებს.

მალატ.

---

## მატარებელთა მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია ქუთაისის საათით).

**ქუთაისში მოდის:**

| | |
|---|---|
| თფილისიდან | 5 ს. 50 წ. დილით. |
| | 11 ს. 30 წ. ღამით. |
| ბათომიდან | 10 ს. 5 წ. დილით. |
| | 2 ს. 23 წ. ღამით. |
| ფოთიდან | 10 ს. 30 წ. დილით. |

**ქუთაისიდან გადის:**

| | |
|---|---|
| თფილისში | 7 ს. 55 წ. დილით. |
| | 1 ს. 7 წ. ღამით. |
| ბათომში | 10 ს. 7 წ. საღამოს. |
| | 4 ს. 27 წ. დილით. |
| ფოთში | 4 ს. 14 წ. დილით. |

---


ქ უ თ ა ი ს შ ი

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

**საბუღალტერო კურსები**

**გ. გ. გიგინეიშვილისა.**

1915 წლის იანვრიდან კურსებზე იხსნება მეორე—პარალელური განყოფილება. კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით ანუ შესაფერი გამოცდის შემდეგ რუსულსა და ანგარიშში.

კ უ რ ს ი ა თ თ ვ ი ა ნ ი ა.

**სწავლის ფული ასი მან.**

თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში (თფილისის ქუჩა).

კურსების გამგე **გ. გ. გიგინეიშვილი.** თ.

---

ფოთის ახალ მაღაზიაში **„უნივერსალ“**

**ქარვასლის ქუჩაზე, პრავადნიკის პირდაპირ**

**მაღაზიაში ი ყ ი დ ე ბ ა მაღაზიაში**

**უკანასკნელ მოდების, გალანტერეინის, შლიაპების და ხელსაწარმოების საქონლები:**

სხვა და სხვა კრუჟოვები, ტილოები, ვსტავკები, საყელოები, აგრამანტები, ფოლაქები, ვიშივკები, ცხვირსახოცები, ჩულქები, ფუფაიკები, ხელთათმანები, კაცის პერანგები და საყელოები, კორსეტები, ხალათები, იუპკები, ქალების, ბავშვების და მოწაფეების შლიაპები და ბევრი სხვა საქონელი.

რადგანაც დუქანში ბევრი ადგილი აღარ გვაქვს ქალების შლიაპებზე და შეკერილ საქონლებზე ფაბრიკის ფასი **დაკლებულია 50%**

თ. **პატივის ცემით აინბინდერი.**

---

**მიიღება ხელის მოწერა 1915 წ. ყოველკვირეულ სალიტერატურო, სახელოვნო და საზოგადოებრივ ჟურნალ**

## „თეატრი და ცხოვრება“-ზე.

ჩვეულებრივის პროგრამით ივ. გომართელისა და იოს. იმედაშვილის რედაქციით. **ფ ა ს ი:** წლით 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., თითო ნომერი 10 კაპ. ფულის შემოტანა ნაწილნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 2 მ., მარტის გასვლამდე 2 მ., დანარჩენი 1 მ. ენკენისთვის 1.

ხელისმოწერა მიიღება: რედაქციაში („სორაპანი“-ს სტამბაში) დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ჟურნალ-გაზეთების კანტორა „განთიად“-ში, „ცოდნას“ წიგნთსავაჭროში, რკინის გზის სახელოსნოში—ალ. ძაძამიასთან.

მიიღება განცხადებანი ჟურნალში დასაბეჭდათ ფული და ყოველგვარი მასალა უნდა გამოიგზავნოს იოს. იმედაშვილის სახელზე. ფოსტის მისამართი: Тифлисъ, Ред. „Театри да цховреба“ Iосифу Имедашвили

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

---

**თ. ა. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.**

1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება . . . . . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . , . . 20 „
3) მღ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი შკოლებისათვის ფ. 10 კაპ. ყდით . . . . 15 „
4) ქართული მოძრავი ანბანი ქაღალდზე . 10 „
„ იგივე, კარდონზე გაკრული . . 25 „
„ იგივე, ორ და სამ-კომპლექტიანი . 50 „
5) ს. ყიფიანი. შაქარას ნაამბობი . . 3 „
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона Божiя . . . . 20 „
7) ს. გორგაძე. საქართველოს ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . . . . . 35 „

---

**აქვე იყიდება საწყობი შემდეგი წიგნებისა.**

1) გუთანი, ოჯახსა და შკოლებში საკითხავი წიგნი, შედგ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფიანის მიერ, სურათ., მესამე გამოც., ყდით . 85 „
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყებით შკოლებისათვის, ყდით . 20 „
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . . . . . 50 „
4) არქიმ. ნესტორი (ყუბანეიშვილი,) პირველდაწყებითი დარიგება სალვთო სჯულის სწავლებაზე . . . 30 „
5) ა, ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . . . . . 50 „
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე-XIX ს. ქართ. ლიტერატურის შესახებ. ტ. I. . 70 „
7) მისივე. იგივე. ტ. II. . . 70 „
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი, ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . . . . 20 „
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., ყდით . . . . . 15 „
10) ა. ჭიჭინაძე. პირველდაწყებითი ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყდით . 60 „
11) ნ. ნიკოლაძე. ჩემ პოლიტიკაზე . 10 „

**რუსული და ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.** თ.